ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტი

ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 25

2016 წლის 24 მაისი,

ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში (სსმ, №168, 28.11.2007) ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2015 წლის 27 ნოემბრის საქართველოს კანონის,ბსუ–ს წესდების მე–8, და 76-ე მუხლების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისმ ინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში (სსმ, №168, 28.11.2007)შესატანი ცვლილების თანდართული პროექტი(დანართი 1).
2. პროექტი განმარტებით ბარათთან (დანართი 2) ერთად წარედგინოს ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს განიხილოს ბსუ-ს წესდებაში შესატანი, წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული ცვლილების პროექტი.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი გურამ ჩაგანავა

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს

2016 წლის 24 მაისის N 25 დადგენილების

დანართი 1

პროექტი

# ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში (სსმ, №168, 28.11.2007) ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, **„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2015 წლის 27 ნოემბრის საქართველოს კანონის**, ბსუ–ს წესდების მე–8 და 76-ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 მაისის N25 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში (სსმ, №168, 28.11.2007) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესდების:

**1. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**,,მუხლი 6. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები**

1. უნივერსიტეტი მართვის პროცესში უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილებების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;

გ) აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებასა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში;

დ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვანიშნით;

ე) უნივერსიტეტში არჩევნებისა და კონკურსების საჯაროობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას;

ვ)სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;

ზ) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას;

თ) უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

2. სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები."

**2. მე-8 მუხლის:**

**ა)პირველი-მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც 4 წლის ვადით აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრისა და აკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიურ საბჭოში არჩეული ფაკულტეტის წარმომადგენლების შემადგენლობა ექვემდებარება ერთიმესამედით განახლებას ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ.

3. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტსა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს ჰყავს ერთი წარმომადგენელი."

**ბ) მე-4 პუნქტის:**

**ბ.ა) „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ფაკულტეტების ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;"

**ბ.ბ) „ბ²" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ³"-„ბ⁸" ქვეპუნქტები:**

„ბ³) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითიერთ ეულის დირექტორს;

სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ბ⁴)უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით განიხილავს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;

ბ⁵)განიხილავს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს;

ბ⁶) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს;

ბ⁷) ფაკულტეტის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიერ სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში მონაწილეობის, აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ჩართვის წესს;

ბ⁸) ამტკიცებს უნივერსიტეტის დროშას, გერბსა და ჰიმნს.“

3. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს:

მ.ა) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

მ.ბ) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს/წესებს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

მ.გ) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;“

4. მე-11 მუხლისმე-6 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6¹ პუნქტი:

„6¹. წარმომადგენლობითი საბჭო ბიუჯეტის დამტკიცების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის დასამტკიცებლად გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.“

5. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ)სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;“
ზ) „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტს „გ“ ქვეპუნქტისშემდეგდაემატოსშემდეგიშინაარსის „გ[1]“ ქვეპუნქტი:
„გ[1]) უფლებამოსილია დანიშნოს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;“

7. მე-15 მუხლს:
ა)მე-2 პუნქტის:

ა.ა) „ე“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის„ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მიერ საკუთარი ბიუჯეტის პროექტების შედგენას და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენას;“

ა.ბ) „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) რექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხას, რომელსაც ადგენს ადმინისტრაციის, ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სტრუქტურებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად.“

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5პუნქტი:

„5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.“

8. მე-16 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ხელსუწყობს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა დასხვა) დანერგვისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებით, აგრეთვე, კვლევის ხარისხის მაღალიდონის უზრუნველყოფას, კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვით;

ბ) შეიმუშავებს უნივერსიტეტის სასწავლო დასამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

გ) შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდაშეფასების წესს, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს (შეფასების პროცესში უცხოელ შემფასებელთა მონაწილეობა, სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება და სხვა);

დ) უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფს შეფასების შიდა და გარე პროცედურებს;

ე) პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

ვ) უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად ახორციელებს სტუდენტთა მობილობის, კრედიტ-სატრანსფერო სისტემის გამოყენების, უცხოქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროში (მათ შორის სტუდენტთა გაცვლის შესახებ) ხელშეკრულებების დადების კოორდინაციას;

ზ) უზრუნველყოფს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმატიული მოთხოვნების, ასევე, მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას;

თ) ასრულებს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ამავე უნივერისტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც 4 (ოთხი) წლის ვადით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელი დამატებითი მოთხოვნები.

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფ სხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამდივნო, რომლის ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით.

5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.“.

9. 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად 4 (ოთხი) წლის ვადით აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს წევრი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი.“

10. 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე შესაბამისი დარგის/სპეციალობის მიხედვით, პროფესორებისაგან და ასოცირებული პროფესორებისაგან. მათ გარდა, ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ შესაბამისი დარგის/სპეციალობის მქონე პირების წარმომადგენლები საქართველოდან და უცხოეთიდან, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.

2. სადისერტაციო საბჭოს/საბჭოების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. სადისერტაციო საბჭოების შედგენის, საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი და საქმიანობა განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.“

11. $V^1$ თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი $V^1$

უნივერსიტეტის დამოუკიდებელისამეცნიერო-კვლევითიერთეული, მისიმართვის, საქმიანობისა და აკადემიურ საბჭოში/წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლების არჩევის წესი“

12. $24^1$-$24^5$ მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი $24^1$. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის უფლებამოსილება

დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს უფლება აქვს განახორციელოს:

ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ბ) საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით:

გ.ა) ორგანიზება გაუწიოს სამეცნიეროკონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებს;

გ.ბ) ითანამშრომლოს საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან;

გ.გ)მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში;

დ) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად:

დ.ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე, სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში;

დ.ბ) სტუდენტები ჩართოს სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების დებულებებით გათვალისწინებული სხვასაქმიანობა.";

**მუხლი 24². უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტრუქტურა და მართვა**

1. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტრუქტურა შეიძლება ითვალისწინებდეს ძირითად და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.

2. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოებია უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი.

3. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, მათი ხელმძღვანელობისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესაბამისად. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.

5. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის/დანიშვნის

წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

**მუხლი 24³. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო**

1. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები ქმნიან უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს.

2. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;

გ) ასრულებს ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს მისი წევრებისაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე.

4. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები, უფლებამოსილების ვადა, არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

**მუხლი 24⁴. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი**

1. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი.

2. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის კანდიდატურას 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის ახალი კანდიდატურა. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებამდე.

აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

3. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. ერთმა და იმავე პირმა უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი და დირექტორის უფლებამოსილებები განისაზღვრება უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

**მუხლი $24^{5}$. აკადემიურ საბჭოში და წარმომადგენლობით საბჭოში უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან წარმომადგენლების არჩევის წესი**

1. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან შედის ერთი წარმომადგენელი.

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის მიერ აირჩევა სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი.

3. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალის მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად აირჩევა სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი.

4. დაუშვებელია:

ა) ერთი და იგივე პირი იყოს ორი ან მეტი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში და წარმომადგენლობით საბჭოში;

ბ) ერთი და იგივე პირი იყოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი, როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში, ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში;

გ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი აირჩიონ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად;

დ) პირს, რომელსაც უნივერსიტეტში უკავია ერთდროულად აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობები, წარმოადგენდეს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში, როგორც შესაბამის ფაკულტეტს, ასევე, სამეცნიერო-კვლევით ერთეულს.

5. აკადემიურ საბჭოში და წარმომადგენლობით საბჭოში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან წარმომადგენლების არჩევნების ჩატარების წესი დგინდება უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

6. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში და წარმომადგენლობით საბჭოში უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან წარმომადგენლების არჩევნები გარდა ამ მუხლითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, რეგულირდება წინამდებარე წესდების VI თავით."

13. 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ)სასამართლოს მიერშ ეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;"

14. 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ)სასამართლოს მიერშეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;"

15. 35-ე მუხლის:
ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ."
ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:
„1¹. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან შედის ამ წესდებით განსაზღვრული წესით არჩეული თითო წარმომადგენელი."

16. 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ)სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;"

17. 39-ე მუხლის:
ა) მე-4 პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. უნივერსიტეტის რექტორი აირჩევა აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით. დაუშვებელია რექტორი

აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) დისციპლინური ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

3. შესაძლებელია ერთი და იგივე პირი არჩეულ იქნეს როგორც აკადემიურ თანამდებობაზე, ასევე უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში სამეცნიერო თანამდებობაზე.

## მუხლი 62[4]. მეცნიერის უფლებები და მოვალეობები

1. მეცნიერის უფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით ან/და შრომითი ხელშეკრულებით.

2.მეცნიერს უფლება აქვს:

ა) გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;

დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;

ე) განახორციელოს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა დ საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

3. მეცნიერი ვალდებულია:

ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

4. უნივერსიტეტი, ფაკულტეტი და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული უზრუნველყოფენ სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას."

**მუხლი 62⁵. პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის წესი**

1. ატესტაცია არის პროფესორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2. ატესტაცია უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

3. ატესტაციის ჩატარების დრო განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ, რომელიც ატესტაციის ჩატარებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე აქვეყნებს განცხადებას ატესტაციის ჩატარების შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული აკადემიური საბჭოს განცხადება ატესტაციის ჩატარების შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული აკადემიური საბჭოს განცხადებაში მიეთითება:

ა) ატესტაციის ჩატარების დრო და ადგილი;

ბ) ატესტაციას დაქვემდებარებულ პროფესორთა და მთავარ მეცნიერ თანამშრომელთა სია;

გ) ატესტაციისთვის წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და მათი წარდგენის ვადა.

6. ატესტაციას ახორციელებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება ატესტაციის ჩატარების წინ, რექტორის წარდგინებით აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

7. დაუშვებელია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი იყოს ატესტაციას დაქვემდებარებული პირი.

8. საკონკურსო-საატესტაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

9. ატესტაციის პროცედურულ საკითხებსა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობის წესს შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო."

22. 63-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეკანი, მათი მოადგილეები,

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დირექტორები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.“

23. 64-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ)სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;“

2. ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული ცვლილებები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, **გარდა** ამ ცვლილებების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა, ამ ცვლილებებისმე-7 პუნქტით წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტისა და ამ ცვლილებების მე-15 პუნქტით წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 35-ე მუხლის $1^1$ პუნქტისა.

3. ცვლილებების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-15 პუნქტით წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 35-ე მუხლის $1^1$ პუნქტი ამოქმედდეს 2016 წლის 1 ივლისიდან.

4. ცვლილებების მე-7 პუნქტით წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

5. გადაწყვეტილება განსახილველად გაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი /დ. ბარათაშვილი/

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY BSU JPPR ACADEMIC COUNCIL

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს

2016 წლის 24 მაისის N25 დადგენილების

დანართი 2

# განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში (სსმ, №168, 28.11.2007) შესატანი ცვლილებების პროექტზე

## ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

### ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი პროექტის მიღების ძირითადი მიზეზი არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2015 წლის 27 ნოემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით ბსუ-ს წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. გარდა აღნიშნულისა, ბსუ-ს წესდების რიგი მუხლების (მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის) „საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანა, ასევე ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის მე-2 მუხლის ,,მ“ ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობაში მოყვანა.

### ა.ბ) პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანების (სსმ, №168, 28.11.2007) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

## ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

1. წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებთან და განისაზღვრება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებასა და აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში. გარდა აღნიშნულისა, წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი ქვეპუნქტების შინაარსი მოდიფიცირებული იქნა მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე და ამავე მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებულია დათქმა წესდების მე-6 მუხლით დადგენილი პრინციპების შემზღუდავი ნორმების ბსუ-ს წესდებით დადგენის დაუშვებლობის შესახებ (აღნიშნული დანაწესს ითვალისწინებს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და წარმოდგენილი ახალი

რედაქცია ბსუ-ს წესდებაში მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა სრულად უზრუნველყოფს კანონის მოთხოვნებს. საბოლოოდ, მე-6 მუხლის ყალიბდება ახალი რედაქციით:

2. **წესდების მე-8 მუხლის:**

ა) პირველი პუნქტი შესაბამისობაში მოვიდა კანონის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან და განისაზღვრება, რომ უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც 4 წლის ვადით აირჩევიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური პერსონალის ყველა წევრის, დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

ბ) მე-2 პუნქტი შესაბამისობაში მოვიდა მე-20 მუხლის მე-5 პუნქტთან და განისაზღვრება, რომ აკადემიურ საბჭოში არჩეული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლების შემადგენლობა ექვემდებარება ერთი მესამედით განახლებას ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ.

გ) მე-3 პუნქტი შესაბამისობაში მოვიდა კანონის მე-20 მუხლის $2^1$ პუნქტთან და განისაზღვროს, რომ აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულსა ჰყავს ერთი წარმომადგენელი.

დ) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი მოვიდა შესაბამისობაში კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან და ნაცვლად კუმულაციური პირობისა გაიწერა ალტერნატივის შესაძლებლობა, კერძოდ, აკადემიური საბჭო ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის <u>ან/და</u> დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს.

ე) აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებებს დაემატა კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ$^1$-ბ$^5$“ პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

3. <u>წესდების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტში</u> კანონის მე-18 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით და განისაზღვრება, რომ წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს :

მ.ა) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

მ.ბ) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს/წესებს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

მ.გ) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;“

4. **წესდებისმე-11 მუხლის მე-6 პუნქტის ჩანაწერთან** მიმართებაში ხდება კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობითი საბჭო ბიუჯეტის დამტკიცების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის დასამტკიცებლად გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).

5. **წესდების მე-12 მუხლის** მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოდის კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან და განისაზღვრება, რომ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ამოღება ხდება, რადგანაც არსებული რედაქციით გათვალისწინებული საფუძველი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულია.

6. **წესდების მე-13 მუხლის** მე-2 პუნქტში, რექტორის უფლებამოსილებათა შორის ხდება კანონის 22-ე მუხლის მე-10 პუნქტის შინაარსის გათვალისწინება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოსმიერდაფუძნებულიუმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებისხელმძღვანელი (რექტორი) უფლებამოსილია დანიშნოს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

7. **წესდების მე-15 მუხლს** მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდგომ, კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე$^1$“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებებს ემატება დათქმა, რომ იგი ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების მიერ საკუთარი ბიუჯეტის პროექტების შედგენას და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენას. ამავე პუნქტის **„მ“ ქვეპუნქტიც** მოდის შესაბამისობაში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის) ქონების საფუძველზე შექმნილმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობას არ საჭიროებს საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრისას. ამავე მუხლისმე-4 პუნქტის შემდგომ ემატენა კანონის 23-ემუხლისმე-4 პუნქტის შესაბამისი შინაარსის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები. (ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან).

8. **წესდების მე-16 მუხლის** მე-2 პუნქტს, კანონის 25-ე მუხლის $4^1$-$4^2$ პუნქტების მოთხოვნიდან გამომდინარე, ემატება ნორმები იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასები წესს და მას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. გარდა აღნიშნულისა, ამ მუხლის მოდიფიცირება ხდება კანონის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე (განისაზღვრება ხელმძღვანელის კანდიდატურისათვის წესდებით განსასაზღვრი მოთხოვნები).

SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

9. **წესდების 21-ე მუხლის** მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლითაც განისაზღვრება, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე (კანონის 31-ე მუხლი) 4 წლის ვადით შეიძლება აირჩეს ფაკულტეტის საბჭოს წევრი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი.

10.**წესდების 24-ე მუხლი** შესაბამისობაში მოდის კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტთან, რომლის მიხედვითაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სადისერტაციო საბჭო შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.

11. **წესდების $V^1$ თავის სათაური** (დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტრუქტურისა და მართვის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოსა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორთან დაკავშირებული ნორმები) შესაბამისობაში არის მოყვანილი სწორედ ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $29^1$-$29^3$ მუხლების მოთხოვნებთან, რადგანაც „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის – დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით.

12. **წესდების $V^1$ თავის $24^1$-$24^5$ მუხლები** ჩამოყალიბდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $29^1$-$29^3$ მუხლების შესაბამისად.

13. **წესდების 33-ე მუხლის** მე-7 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან.

14. **წესდების 34-ე მუხლის** პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოვიდა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან".

15. **წესდების 35-ე მუხლის** პირველი პუნქტის შინაარსის ემატება კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული დანაწესი, კერძოდ კი ის, რომ აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. ამავე მუხლში, პირველი პუნქტის შემდეგ ემატება $1^1$ პუნქტი, რომლითაც განისაზღვრება, რომ აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან შედის ამ წესდებით განსაზღვრული წესით არჩეული თითო წარმომადგენელი.

16. **წესდების36-ე მუხლის** მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოვიდა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან".

17. **წესდების 39-ე მუხლის** მე-4 პუნქტის ჩანაწერი „რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეული იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ“ მოვიდა შესაბამისობაში კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტთან, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი არჩეულ იქნეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტით, რაც არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობის 2 ვადას. გარდა ამისა, ამ მუხლის მე-6 პუნქტის რედაქცია ჩამოყალიბდა კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის რედაქციის შესაბამისად.

18. **წესდების 55-ე მუხლით განისაზღვრება, რომ** უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები. წესდების VII თავი (პერსონალი) შესაბამისობაში მოვიდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავით გათვალისწინებულ რეგულაციებთან (კანონის 32-ე მუხლი).

19. **წესდების 58-ე მუხლის** პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა კანონის შესაბამისად, კერძოდ კი, განისაზღვრება, რომ პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები. პირი პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას.

20. **წესდების 62-ე მუხლის** პირველი პუნქტში გასწორდა ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„1. უნივერსიტეტს უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის წარდგინების ან რექტორის ინიციატივის საფუძველზე მიღებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის ან ემერიტუსის წოდება.

21. **წესდების** 62-ე მუხლის შემდეგ **ემატება 62¹-62⁵მუხლები,** რომლებიც შესაბამისობაშიაკანონის 37¹-37⁴ მუხლების მოთხოვნებთან. სამეცნიერო პერსონალის ცნების გაჩენასთან ერთად ამავე თავში განისაზღვრება უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის, სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი, სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები, მეცნიერის უფლებები და მოვალეობების მარეგულირებელი ნორმები და ასევე, პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის წესი.

22.**წესდების 63-ე მუხლის** პირველი პუნქტი შესაბამისობაში მოვიდა კანონის მე-40 მუხლის პირველ პუნქტთან, რომელიც ადგენს, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის და დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის დირექტორის თანამდებობები, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა თანამდებობები. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობები.

SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

23. 64-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოვიდა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან“

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბსუ-ს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბსუ-ს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბსუ-ს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

პროექტის მიღება არ ითვალისწინებს ბსუ-ს და სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

პროექტის მიღება არავისთვის იწვევს ფინანსურ შედეგს.

**ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

**გ. კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**გ.ბ) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ:**

ასეთი არ არსებობს.

**დ) პროექტის ავტორი და ინიციატორი:** პროექტის ავტორია ბსუ-ს აკადემიური საბჭო, რომელიც ინიცირებულია ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში.

ACADEMIC COUNCIL

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ა კ ა დ ე მ ი უ რ ი  ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

2016 წლის 24 მაისი ქ.ბათუმი

# წარდგინება

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

## წარმომადგენლობით საბჭოს

ბსუ-ს წესდების 76-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად წარმოგიდგენთ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 მაისის N25 დადგენილებით დამტკიცებულ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში (სსმ, №168, 28.11.20070) ცვლილების შეტანის თაობაზე.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი პროექტი.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი ჯ. [signature] მერაბ ჩაგანავა